პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
სუთშაბათი
18 ოქტომბერი
№ 240 (17585)
ფასი 2 კაპ.

**ᲒᲣᲗᲜᲘᲡ ᲓᲦᲔ**

**ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ**

## ᲩᲥᲐᲠᲝᲡᲜᲣᲚᲘ ᲓᲦᲝᲒᲐ

**რუსთავის** მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს პირველ ღუმელზე დღე-ღამეში გამოშვებული ყველა ნადნობი ჩქაროსნული იყო. ჩქაროსნული ნადნობის ანგარიში გახსნა მოწინავე ბრიგადამ, რომელსაც რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ო. წითლიძე ხელმძღვანელობს. ასევე დამკვრელურად მუშაობდნენ ვახტზე მათი შემცვლელებიც.

საწარმოში დღითიდღე ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 62-ე წლისთავის აღსანიშნავად. მაღალ შრომით მაჩვენებლებს აღწევენ გ. ფანჩვიძისა და ტ. სპანდერაშვილის ბრიგადები. მათ მარტო ოქტომბერში 2500 ტონაზე მეტი ზეგეგმითი ფოლადი გამოადნეს.

---

**ᲝᲪᲓᲐᲐᲗ** წელზე მეტია თბილისის ალბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში მუშაობს მგრეხავი ელენე ჩუმაშვილი. — იმ საამქროს მოწინავე მუშაკი, რომლის კოლექტივმაც მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს იკისრა დიდი სოციალისტური ვალდებულებანი — გამოუშვას ორ-ნახევარჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე 1978 წელს.

ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში თავისი წვლილი შეაქვს ელენე ჩუმაშვილასაც, რომელიც კარა მარტო სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვების გეგმით გათვალისწინებულ დავალებებს, არამედ შეფობას უწევს ახალგაზრდა მჭსოველებს. ბოლო წლებში გამოცდილი წარმოების მუშაკის ბევრი მოწაფე გახდა კვალიფიციური მუშაკი.

საქინფორმის კორესპონდენტის ნ. ვარდიაშვილის გადაღებულ სურათზე, ელენე ჩუმაშვილი აღბეჭდილია ახალგაზრდა მჭსოველებთან ლაურა ცუცქირიძესა და ნორა დიაკონაშვილთან ერთად — ისინი თბილისის №36 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი არიან.

---

**ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲕᲚᲔ ᲨᲣᲛᲐᲗᲐ ᲐᲚᲐᲡᲘᲡ ᲫᲘᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔ ᲒᲚᲔᲡᲚᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲨᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲕᲨᲘᲠᲡ! ᲓᲐᲓᲔᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲪᲚᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲑ ᲓᲐ ᲛᲘᲪᲘᲗᲘᲡ

# КОМУНИСТУРИ МРЧАМСИС ДИДИ ДАЛА

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ტექნიკური აღჭურვის აუცილებლობას. საჭიროა, რომ ტელეგადაცემები და რადიოგადაცემები შეესაბამებოდეს საბჭოთა ადამიანების განათლებისა და კულტურის მაღალ დონეს, მოთხოვნებს, რომ პროგრამები შეესატყვისებოდეს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების დინამიკურობას და ითვალისწინებდეს საერთაშორისო ასპარეზზე მკვეთრად გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლის ხასიათს.

სსრ კავშირის სახტელერადიოს თავმჯდომარემ ილაპარაკა ყველა სახეობის ხელოვნებასთან ტელევიზიის ურთიერთობის შესახებ. მან ხაზი გაუსვა, რომ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნების —„მცირე მიწისა“ და „აღორძინების“ მიხედვით დადგმულ ფილმებს მაყურებელთა ფართო გამოხმაურება მოჰყვა.

კოსმოსური კავშირის განვითარების მეოხებით ახლა ქვეყნის მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტს შესაძლებლობა აქვს უყუროს მოსკოვის გადაცემებს. დაახასიათა რა ოლიმპიური ასპარეზობისათვის ტელევიზიისა და რადიოს მიერ გაწეული მოსამზადებელი მუშაობის მასშტაბი, ორატორმა თქვა, რომ წინასწარი მონაცემებით, „ოლიმპიადა-80“-ს ნახავს დაახლოებით ორი მილიარდი კაცი.

ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს შეეხო თავის გამოსვლაში უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. ა. ულანმოვი.** რესპუბლიკაში ცხოვრობენ და ერთად ირჯებიან ასზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. პარტიული ორგანიზაციები ინტერნაციონალური აღზრდის სრულყოფის საქმეში ფართოდ იყენებენ ყველა ფორმასა და საშუალებას. იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა რუსული ენის შესწავლა, რომელიც არათუ გვიკაფავს თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების მწვერვალებისაკენ მიმავალ გზას, არამედ ცხოვრებისეული მოთხოვნილებაც არის, ხოლო მისი ღრმა ათვისება უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ამოცანაა. ორატორმა დამსწრეთ გაუზიარა სოციალისტური შეჯიბრების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების განვითარებისათვის მუშაობის გამოცდილება.

მასების შემოქმედებით შობილი ინიციატივებისა და შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების გავრცელება-დანერგვისათვის პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობას მოიძღვნა თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ **ა. ი. შიბაევმა.** მან აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანების შრომითი, პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის ნამდვილი სკოლა გახდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობა.

პროფკავშირების წინაშე დგას სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის შემდგომი გაძლიერების ამოცანა. ამასთან დაკავშირებით ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბევრ პროფკავშირულ ორგანიზაციას აკლია იმის უნარი, რომ მჭიდროდ დაუკავშიროს თავისი აღმზრდელობითი მუშაობა შეჯიბრების მონაწილეთა პრაქტიკულ საქმეებს, სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას. მთელ რიგ საწარმოებში არ იგრძნობა ორგანიზატორული, სამეურნეო და იდეოლოგიური მუშაობის ერთიანობა.

საბჭოთა ლიტერატორებს მუდამ დიდ პატივად მიაჩნდათ პროპაგანდა გაეწიოთ ლენინის პარტიის იდეების, პოლიტიკის, მთელი საქმისათვის, აღნიშნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა **გ. მარკოვმა.** თანამედროვე ლიტერატურული პროცესი, საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრება მოწმობს, რომ სკკპ XXV ყრილობის შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაღრმავდა მხატვრული ინტელიგენციისადმი პარტიის დამოკიდებულებაში დამყარებული ჰარმონია. პარტიისა და ხალხის შესანიშნავი აღმშენებლობითი საქმიანობა ლიტერატურის ოსტატთა შთაგონების მთავარი წყაროა.

საბჭოთა მწერლები, თქვა მან, მოდამ ჩვენ საზღვარგარეთელ იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეებთან შეურიგებელი ბრძოლის ვითარებაში მუშაობდნენ. ყოველდღიურად ანტისაბჭოელები გესლიან ცილისწამებას ანთხევენ მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურაზე. მათი ტაქტიკის ახალი ხერხები, რომლებსაც „ქვითელი განზრახვებით“ ნიღბავენ, მოითხოვს კიდევ უფრო აქტიურად, ქმედითად ვაწარმოოთ მუშაობა ლიტერატურის თითოეული მუშაკის აღსაზრდელად.

მეცხრედ დაიწყო თავისი ახალი სასწავლო წელი ბრიანსკის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის თბოელექტროცენტრალის მთავარმა ინჟინერმა **ა. ს. კუდრიავცევმა,** როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტმა თათბირზე გამოსვლისას მან თქვა: ასეთი საზეიმო ატმოსფერო, როგორსაც დღეს ვხედავ, არასდროს არ ყოფილა. ამ შეგრძნებას ინარებს ჩემი თანასმით ამხანაგი, პროპაგანდისტი. ორატორმა აღნიშნა, რომ ახლანდელი სასწავლო წელი პირველი წელია იმ მოთხოვნების რეალიზაციისათვის მუშაობაში, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა თავისი დადგენილებით „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

პოლიტიკურ და ეკონომიკურ სწავლებაში ქარხნის კოლექტივის თითქმის ყველა წევრია ჩაბმული. ახლა პოლიტსკოლებისა და სემინარების, კომუნისტური შრომის სკოლების მსმენელთა შორის ფაქტიურად აღარ არიან ისეთები, რომლებიც გამომუშაების ნორმას ვერ ასრულებდნენ.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ბ. ნ. პასტუხოვმა** აღნიშნა, რომ პარტიამ კომკავშირს ჩაბარა იდეოლოგიურ საშუალებათა მდიდარი არსენალი, და იგი ახალგაზრდობასთან მუშაობისათვის გზავნის საუკეთესო კადრებს. კომკავშირის კომიტეტებს თავიანთ ამოცანად მიაჩნიათ, რომ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანონ კომკავშირის მთელი იდეურ-პოლიტიკური მუშაობა.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შეკრებილთ შეახსენა, რომ აღზრდის პროცესი განუწყვეტელი უნდა იყოს, და განაცხადა, რომ კომკავშირს თავის ამოცანად მიაჩნია მეტი ყურადღება დაუთმოს ახალგაზრდა ოჯახის ჩამოყალიბებას. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იმ საერთო საცხოვრებლებში მუშაობას, სადაც ახლა ცხრა მილიონზე მეტი ქალაქელი და ჭაბუკი ცხოვრობს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოზარდებთან და ბავშვებთან მუშაობის ჯერ კიდევ ყველაზე სუსტ რგოლს — სახლს, უბანს, მიკრორაიონს.

კომკავშირელები, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა ახლა დიდი აღმავლობით ემზადებიან ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავად. ამ სამახსოვრო თარიღის წინ გაიმართება სრულიად საკავშირო ლენინური შემოწმება, რომელიც გახდება ბელადის უკვდავი იდეებისადმი ახალგაზრდობის ერთგულების დათვალიერება, თითოეული კომკავშირელისა და ყველა კომკავშირული უჯრედის ანგარიში პარტიისა და ხალხის წინაშე.

17 ოქტომბერს თათბირზე პირველი გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნ. პონომარიოვი.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, თქვა მან, — ეს არის იდეოლოგიისა და პროპაგანდის, ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების მოქალაქის აღზრდის დარგში პარტიის მთელი საქმიანობის შთამბეჭდავი, ფრიქვალდანი პროგრამა. ამხ. მ. ა. სუსლოვის მოხსენებაში, რომელიც ჭეშმარიტად ლენინური სულისკვეთებით არის გამსჭვალული, მოცემულია ამ საქმიანობის ყოველმხრივი დახასიათება, ნაჩვენებია, თუ რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს. თავისი გამოსვლა ბ. ნ. პონომარიოვმა მიუძღვნა საერთაშორისო ასპარეზზე იდეოლოგიური ბრძოლის საკითხებს.

იმპერიალისტური წრეები შეუპოვრად იბრძვიან, რათა შეინარჩუნონ თავიანთი პოზიციები და უწინდებურად განაგებდნენ ადამიანთა ბედ-იღბალს. შეგვიძლია დავდგენით გარკვეული კანონზომიერება — რაც უფრო მნიშვნელოვანია სსრ კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის წარმატებანი, რაც უფრო ღრმაა კაპიტალისტური სისტემის კრიზისი, მით უფრო ძლიერია ხალხთა მასების შეგნებული და სტიქიური შეჭრა მსოფლიო პოლიტიკაში, მით უფრო მეტად აჩაღებენ იმპერიალისტური წრეები იდეოლოგიურ ბრძოლას რეალური სოციალიზმის წინააღმდეგ, მუშათა კლასისა და მთელი ამამთავრისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, მტკიცეა მშვიდობის მხარდამჭერი ძალების წინააღმდეგ. „როდესაც ბურჟუაზიის იდეური გავლენა მუშებზე კლებულობს, ირყევა, სუსტდება, — გაიხსენა ორატორმა ვ. ი. ლენინის სიტყვები, — ბურჟუაზია **ყველგან და ყოველთვის** მიმართავდა და ყველავე მიმართავს ყოველად უკანასკნელ სიცრუესა და ცილისწამებას“.

ახლა იმპერიალიზმმა შექმნა უდიდესი პროპაგანდისტული მანქანა, როგორიც ჯერ არასდროს არ ყოფილა, — შექმნა მასების დამუშავების მთელი ინდუსტრია. იდეოლოგიური ზემოქმედება გადაიქცა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა პოლიტიკური და სულიერი დამონების ერთ-ერთ უმთავრეს იარაღად. თანაც, პროპაგანდისტული აპარატი მხოლოდ საშნაო მოხმარებისათვის როდი არის განკუთვნილი, მისი მიზანია აგრეთვე გავლენა მოახდინოს სოციალისტურ ქვეყნებზე, მოიმხრაწილ სახელმწიფოებზე, მთელ მსოფლიოზე. ამასთან დაკავშირებით ორატორმა დაახასიათა ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლეთის სხვა სახელმწიფოების, ნატოს საქმიანობა სსრ კავშირის წინააღმდეგ.

სწორედ ამ რეალური ვითარებიდან გამომდინარეობს საერთაშორისო სფეროში ჩვენი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის თავისებურებანი. „დაძაბულობის შენელების პირობებში, — ხაზგასმით აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, — სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს ვუყენებთ ჩვენს იდეოლოგიურ მუშობას“.

ამ მუშაობის საფუძველია **მთელი ჩვენი იდეოლოგიური საქმიანობის სოციალისტურ არსთან მშვიდობისათვის ბრძოლის შეხამება.**

იგი ორი სახეობისაგან შედგება. პირველი — თეორიული, დაკავშირებულია თანამედროვე საგაროში მიმდინარე რთული პროცესების კვლევასთან, როგორიც არის საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობისა და სოციალიზმის სასარგებლოდ ძალთა თანაფარდობის შეცვლა, იმპერიალიზმის ანალიზი, უმთავრესად მისი როგორც ომის საფრთხის, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის წყაროს მხილება და ამ საფუძველზე მისი წყლულებისა და მანკიერებების გამოაშკარავება, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დროს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პრობლემების, კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის თავისებურებების, თანამედროვე ეტაპზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემების შესწავლა. მეორე — ეს არის სოციალიზმის იდეების პროპაგანდა, სსრ კავშირის საერთაშორისო პოლიტიკის არსის განმარტება, საკადრისი პასუხის გაცემა ანტისაბჭოურობის, ანტიკომუნიზმისათვის.

ამ მომენტში, თქვა ორატორმა, მსოფლიო საზოგადოებრივის ყურადღების ცენტრშია წინადადებანი, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა 6 ოქტომბერს ბერლინში წარმოთქმულ სიტყვაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებაში ნათქვამია, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით წარგზავნილი საბჭოთა დელეგაციის ვიზიტი გახდა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა როგორც ორი პარტიისა და სახელმწიფოს თანამოქმედების შემდგომი განმტკიცების მხრივ, ისე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საარსებო ინტერესების თვალსაზრისით. ლეონიდ ილიას ძის სიტყვა — ეს არის უდიდესი საგარეო-პოლიტიკური აქცია, რომელმაც ყველა მთავრობისა და ხალხის ყურადღება მიიპყრო. იგი ერთდროულად გამსჭვალულია დაძაბულობის შენელების დამკვიდრებისადმი, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისადმი მგზნებარე მოწოდებით და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ამ სიტყვაში მტკიცედ არის გამოთქმული ნება— დამკვიდრონ სოციალისტური თანამეგობრობის ერთობა—მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის უდიდესი მონაპოვარი.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში იდეოლოგიური ბრძოლის თავისებურებაა ის, რომ ახლა დასავლეთში იშვიათად თუ გაბედავს ვინმე დაძაბულობის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას. სინამდვილეში კი ყოველ ღონეს ხმაობენ, რათა განაგრძონ გამალებული შეიარაღება, მოიპოვონ სამხედრო უპირატესობა ჩვენზე და ამ პოზიციებიდან გვიკარნახონ თავიანთი ნება-სურვილი. ამერიკის შეერთებულ შტატებში გარკვეული წრეები ცდილობენ ჩაშალონ სტრატეგიული და შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის რატიფიკაცია, რომელსაც მოოთმენლად მოელის მთელი მსოფლიო. ამასთანავე ნატოს განზრახული აქვს დასავლეთ ევროპაში განალაგოს საშუალო რადიუსის ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღი, რასაც გარდაუვლად მოჰყვება გამალებული შეიარაღების შემდგომი გამალება და რაც საფრთხეს შეუქმნის ყოველივე იმას, რასაც დაძაბულობის შენელების წლებში მივაღწიეთ.

საერთაშორისო სარბიელზე სულ უფრო ძლიერდება იდეოლოგიური ბრძოლა რეალური სოციალიზმის საერთაშორისო პოზიციებისა და ავტორიტეტის განმტკიცებასთან ერთად.

დაახასიათა რა გამათავისუფლებელი, ანტიიმპერიალისტური მოძრაობა, ორატორმა აღნიშნა, რომ ღრმა რევოლუციური ცვლილებები თანამედროვეობის ღირსახსოვარი მოვლენაა, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობის მომავლისათვის. ეს ცვლილებები საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების მოქმედების შედეგია და მოწმობს, რომ ისტორიული შემოქმედებისათვის იღვიძებენ მასები, რომელთაც მსოფლიო სარბიელზე ძალების თანაფარდობის ძირეული შეცვლის პირობებში მიეხეჭათ რეალური შესაძლებლობა — წარმატებას მიაღწიონ თავიანთი ეროვნული და სოციალური მიზნების მოპოვების საქმეში. მაგრამ იმპერიალიზმი ყოველნაირად ცდილობს დაბრკოლოს რევოლუციური პროცესი. დღევანდელობის რევოლუციური მოძრაობებისადმი მისი იდეოლოგებისა და პოლიტიკოსების მიდგომის „თავი და თავია“ მითი „მოსკოვის ხელის“ შესახებ. ეს ყალბი მითი მრავალმიზნიანი პროპაგანდისტული იარაღია.

ორატორმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ ჩვენი იდეოლოგიური ბრძოლის გადამწყვეტი **უბანია სოციალიზმის შესახებ სიმართლის** პროპაგანდა. აქ ჩვენ ვეყრდნობით კომუნისტური მშენებლობის ნამდვილ წარმატებებს, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციებს განუხრელ განმტკიცებას. ამ მდგომარეობის საილუსტრაციოდ ბ. ნ. პონომარიოვმა მოიყვანა ჩვენი მშენებლობის კოლოსალური გაქანება, ჩვენი გეგმებისა და შემოქმედებითი მიზნების მშვიდობიანი ხასიათი, მსმენელთა ყურადღება მიაპყრო ისეთ ფაქტებს, როგორიცაა საბჭოთა ეკონომიკის განუხრელი აღმავლობა, ათეული წლები რომ გრძელდება, სოციალიზმის მიერ დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა, ბინის უფლება, ბინის ქირის სიიაფე, ხალხისათვის უფასო განათლება, სამედიცინო მომსახურების, დასვენების და სხვა შეღავათების მინიჭება.

სოციალიზმის უპირატესობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა თანამედროვე კაპიტალიზმის კრიზისის გამძაფრების ფონზე. უკანასკნელი წლების მოვლენებმა დაადასტურა, რომ კაპიტალიზმი მოექცა წინააღმდეგობების მკვეთრი გაღრმავების ხანგრძლივ პერიოდში, როცა სულ უფრო მჭიდროდ იხლართება სავაჭრო-სამრეწველო, სავალუტო-ფინანსური, ენერგეტიკული, ეკოლოგიური და სხვა კრიზისები, კვლავ მძვინვარებს ინფლაცია და უმუშევრობა.

ჩინეთში მიმდინარე პროცესებს რომ შეეხო, ორატორმა აღნიშნა, რომ ამჟამად ხდება ზოგიერთი მაოისტური კონცეფციის გადასინჯვა, მაგრამ არა საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში. არ წყდება ანტისაბჭოურობის ქადაგება ისევე, როგორც არ იცვლება ჩინეთის იმპერიალიზმთან პირშეკვრის ხაზი.

შემდეგ ორატორმა დაახასიათა საბჭოთა პროფკავშირების, მეგობრობის საზოგადოებების, სხვა საზოგადოებრივი და საქმიანი ორგანიზაციების მრავალმხრივი ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

საერთოდ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული მითითებების შემდეგ და იდეოლოგიური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად გარკვეული წარმატებებია მიღწეული. ჩვენი მეცნიერები მეტ ყურადღებას უთმობენ იმპერიალიზმის იდეოლოგიური საქმიანობის ანალიზს. გაუმჯობესდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობა საერთაშორისო პრობლემების გაშუქებაში — პრესის, ტელევიზიისა და რადიოს გამოსვლები. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ცოდნა ანტიკომუნიზმის შესახებ. ჩვენ გვჭირდება ანტისაბჭოური პოზიციებისა და შეხედულებების დასაბუთებული, ფაქტებით მდიდარი კრიტიკული განხილვა. მათი მოგერიება არა მარტო კვლევითს შრომებში, არამედ, რაც ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ნაშრომებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ფართო წრეებისათვის.

ბ. ნ. პონომარიოვმა თათბირს გააცნო სოციალისტური ინტერნაციონალის განიარაღების პრობლემათა სამუშაო ჯგუფთან მოსკოვში გამართული შეხვედრების მიმდინარეობა და შედეგები.

გამოსვლაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენს იდეოლოგიურ ბრძოლაში დიდ როლს ასრულებს სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიების თანამშრომლობა.

ორატორმა დაახასიათა ჩვენს დროში საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის როლი და პოზიციები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ფართო და შინაარსიანი ურთიერთობა მოძმე პარტიებთან.

დასასრულ ბ. ნ. პონომარიოვმა შეაჯამა საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი.

შთელ იდეოლოგიურ მუშაობაში პარტიის უცილობელი მოთხოვნა, თქვა ორატორმა, იყო, არის და იქნება:

— მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულება, მისი როგორც რევოლუციური აზროვნებისა და მოქმედების თეორიის დაცვა, გადამჭრელი ბრძოლა მისი მემარჯვენული თუ მემარცხენული რევიზიის ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ;

— შემოქმედებითი მიდგომა თეორიისადმი, თეორიის ათვისებისა და გამოყენებისადმი, მისი განვითარება სხვადასხვა ეტაპზე ცვლილებადი პირობებისა და ამოცანების შესაბამისად, ბრძოლა დოგმატიზმისა და მედავთნეობის წინააღმდეგ, რევოლუციური ბრძოლის რეალობებს მოწყვეტის წინააღმდეგ, ანუ — თეორიისა და პრაქტიკის ურღვევი კავშირი.

ასეთი მიდგომა ახალ გამარჯვებებს მოუტანს მარქსის, ენგელსის, ლენინის დიად იდეებს, მშვიდობისა და კომუნიზმის იდეებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. ნ. ენუქიძე** შეეხო საბჭოთა ადამიანის ზნეობრივი სრულყოფის პრობლემებს. მასების ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბების ქმედითი ბერკეტი გახდა საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, მისი გათვალისწინება უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა განხორციელებისას.

შემდეგ ორატორმა ილაპარაკა მორალური ფაქტორების ამაღლების შესახებ და ხაზი გაუსვა, რომ აღმზრდელობითის მუშაობაში უფრო სრულად უნდა შუქდებოდეს საბჭოთა ადამიანის მაღალი ზნეობრივი საწყისები, მისი სულიერი სამყაროს სიმდიდრე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ განვლილმა თვეებმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა იდეოლოგიური მუშაობის არსენალი. დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ხელმძღვანელ მუშაკთა მონაწილეობას პოლიტსკოლებისა და სემინარების მეცადინეობაში.

ორატორმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა ღონისძიებათა უფრო მჭიდრო კოორდინაცია ჩვენი ქვეყნის ხალხთა ისტორიისა და ეროვნული კულტურების საკითხებისადმი მიძღვნილ გამოცემათა მომზადებისას.

აგიტაციისა და პროპაგანდის შეტევითი ხასიათის შემდგომი გაძლიერების, მისი კონკრეტულობისა და ქმედითობის, ცხოვრებასთან, სამეურნეო და პოლიტიკურ ამოცანების გადაწყვეტასთან კავშირის განმტკიცების საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა **ნ. გ. ბასოვმა.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დასახული ახალი ამოცანები და მოთხოვნები, თქვა მან, განსაზღვრავენ ლექციური პროპაგანდის სრულყოფის, მისი ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების დიდ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებლობას. ამ მუშაობაში წვრილმანები არ არსებობს. თუ ლექცია ცუდად, უინტერესოდ არის წაკითხული, ეს უბრალოდ უმაქნისი ღონისძიება როდია. ეს არის იდეოლოგიური წუნი, რომლის გამოსწორებასაც დიდი გარჯა სჭირდება. სწორედ ამიტომ არის, რომ დღეს ესოდენ მწვავედ დგას ყოველი ლექციის მაღალი ხარისხის საკითხი.

ამასთან დაკავშირებით ორატორმა ხაზი გაუსვა ლექციური პროპაგანდის პერსპექტიული დაგეგმვის ორგანიზაციის საჭიროებას. სამწუხაროდ, იგი ჯერ კიდევ ყოველთვის როდი ხდება ხოლმე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების, იდეურ-ლოგიკური ბალანსის, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული კულტურის, ეროვნული ენის, ეროვნული ისტორიის, ეროვნული ფსიქიკის, ეროვნული ხასიათის, ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ინტერესების, ეროვნული ეროვნულობის, ეროვნული ეროვნულობის, ეროვნული ეროვნულობის

## კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

# რედაქციას უპასუხებს

### საკონსერვო მრეწველობის საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქკონსერვმრეწვი“

**გაზეთ „კომუნისტის“ 1979 წლის 5 ივლისის ნომერში დაიბეჭდა ო. გიორგობაიანის კრიტიკული წერილი სათაურით „მხოლოდ კომპლექსური მიდგომით“, რომელიც ძირითადად რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობის სისტემაში არსებულ ნაკლოვანებებს შეეხებოდა. მასში ლაპარაკი იყო ხილბოსტნეულის კონსერვების თვითღირებულების გაცილებით მაღალ დონეზე და დაბალ რენტაბელობაზე.**

**აღნიშნულ წერილს გამოეხმაურა სამრეწველო გაერთიანება „საქკონსერვმრეწვი“. უფროსის მოადგილე ე. ყიფიანი გვატყობინებს, რომ წლების მანძილზე სოფლის მეურნეობა გაერთიანების საწარმოებს ვერ აბარებს გეგმით გათვალისწინებულ საჭირო ნედლეულს, რამაც განაპირობა ზემოთაღნიშნული ნაკლოვანებები.**

**საკონსერვო მრეწველობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიზნით წერილში დასმული საკითხი, რომ დარგიდან გამოყოფილიყო ხილეკონსერვოვანი ღვინოების საწარმოები, გაზეთის გამოსვლის შემდეგ დადებითად გადაწყდა. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს გადაწყვეტილებით აღნიშნული საწარმოების დიდი ნაწილი უკვე გადაეცა სამრეწველო საწარმოო გაერთიანება „სამტრესტს“. უკვე ხორციელდება სათანადო ღონისძიებები, რომ დარჩენილი საწარმოები დროულად გადაეცეს მას.**

**იმედია, ალბათ ასევე დროულად გადაწყდება არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი: ერთიანი შესასყიდი ფასების დადგენა, რაც უზრუნველყოფს ასორტიმენტის და დარგის ნორმალურ რენტაბელობას.**

**წერილში სწორად არის აღძრული საკითხი, რომ დოტაცია, რომელსაც საკონსერვო მრეწველობა ღებულობს, გაიცეს დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ. საკონსერვო მრეწველობისათვის ერთიანი მყარი შესასყიდი ფასების დაწესება უზრუნველყოფს ასორტიმენტის დაცვასა და დარგის რენტაბელობას, ამასთან გააადვილებს სასაქონლო პროდუქციის როგორც თვითღირებულების დაგეგმვას, ისე მის ანალიზს.**



**ᲨᲔᲛᲐᲢᲙ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲜᲐᲝᲜᲝᲡ**

**უკრაინის სსრ. „ფრიადი“ შეფასებით დაამთავრა სანაოსნო გამოცდა ახალმა ტანკერმა „ალექსანდრე კორნეიჩუკმა“, რომლის ტვირთამწეობაა 25.600 ტონა. იგი ააგეს ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავის სახელობის გემთაშენებელი სახელობის გემთაშენებელი საწარმოო გაერთიანების მშრომელებმა. ხუთწლედის დამდეგიდან ეს უკვე მეხუთე გემი გამოუგზავნეს უკრაინელმა გემთაშენებლებმა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს.**

**სურათზე: ახალი ტანკერი „ალექსანდრე კორნეიჩუკი“.**

**საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.**

---

**სრულდება გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დაბადების მე-100 წლისთავი. შექმნილია რესპუბლიკური საიუბილეო კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ევგენი ხარაძე. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს აკადემიკოს ზოთა ძიძიგურს.**

**— გთხოვთ გვიამბოთ, როგორ მომდინარეობს საიუბილეო სამზადისი?**

— კომისიის გადაწყვეტილებით, აკადემიკოს კ. კეკელიძის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე მოეწყობა 20-22 ოქტომბერს. იუბილესთან დაკავშირებით გამოვიდა წიგნები: კ. კეკელიძის არქივის აღწერილობა და აკადემიკოს ა. ბარამიძის ბროშურა „დიდი ქართველი მეცნიერი“. იუბილეს დღეებისათვის მკითხველი მიიღებს წიგნს „კ. კეკელიძის ბიბლიოგრაფია“, რომელშიც მოცემულია მეცნიერის ნაშრომების ამომწურავი ბიბლიოგრაფია და ყოველივე ის, რაც დაწერილია მათ შესახებ. მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის უნივერსიტეტის ულამაზესი ორი წლის საგამომცემლო გეგმაში შესულია კ. კეკელიძის ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული მწერლობის ისტორია“ (I და II ტომები) და კრებული „ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი“.

დაწესებულია კეკელიძის სახელობის პრემია, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ მიენიჭება საქართველოს სსრ სამეცნიერო-აკადემიურ, სამეცნიერო-პედაგოგიურ ან სხვა დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერებს ლიტერატურათმცოდნეობის დარგში საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის.

**— რა პროგრამით იმუშავებს სამეცნიერო სესია?**

— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გაერთიანებული სამეცნიერო სესია გაიხსნება 20 ოქტომბერს უნივერსიტეტის საჩქარო დარბაზში. ქართველ მეცნიერებთან ერთად მოხსენებებს წაიკითხავენ ჩამოსული სტუმრებიც. მოხსენებები დაბეჭდილია ქართულ და რუსულ ენებზე.

**— გარდა თბილისისა, სად მოეწყობა საიუბილეო საღამოები?**

სახელოვანი მეცნიერის დაბადების მე-100 წლისთავისათვის ფართოდ ემზადება კ. კეკელიძის მშობლიური ვანის რაიონი.

21 ოქტომბერს ვანის რაიონულ ცენტრში გაგრძელდება სამეცნიერო სესია, რომელიც, როგორც ვთქვით, წინა დღეს გაიხსნება თბილისში. სოფელ ტობანიერში, სადაც დაიბადა კ. კეკელიძე, გაიხსნება სახლ-მუზეუმი, ხოლო კ. კეკელიძის სახელობის საშუალო სკოლაში გამოიყო ოთახი, სადაც მოწყობილია კ. კეკელიძის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი მუდმივი გამოფენა. რაიონულ ცენტრში — ვანში იმავე დღეს გაიმართება კ. კეკელიძის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი.

კ. კეკელიძის საიუბილეო თარიღი აღინიშნება აგრეთვე რესპუბლიკის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

**როდის გაიმართება დასკვნითი საიუბილეო-საზეიმო სხდომა?**

— 22 ოქტომბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

---

## „კომუნისტის“ საგუშაგო ბაგა-ბაღების მუშაკებს

# მხოლოდ დაპირებები

**ცხინვალი** მამსუროვის ქუჩაზე შარშან საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცათ საბავშვო ბაღი 140 ბავშვისათვის. იგი წელს, როგორც იქნა, დამთავრდა, აქაიქ „კუდებიღა“ დარჩა. უხარისხობას ვერ დავწამებთ, მაგრამ ერთი ნაკლი მაინც აქვს: მეორე სართულზე ყველა ოთახში იატაკზე ლინოლეუმი ალაგ-ალაგ ამობურცულია. გაწყალდნენ ოსტატები, ვერაფერი მოუხერხეს უხარისხო ლინოლეუმს — თხელია და მყიფე. თავის დროზე სამუშაოთა მწარმოებელმა ივანე შახოვმა დამკვეთის ურჩია შეეცვალათ პროექტი და პარკეტი დაეგოთ — სულ ათასი მანეთით მეტი დაჯდებოდა. არ იზრუნეს, და ახლა გვიან არის. ასეთი სურათი, ალბათ, ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობაზეც განმეორდება (ასეთივე პროექტით შენდება). მისი მშენებლობა წელს დაიწყეს ისაკის ქუჩაზე ახალ უბანში და თითქოს წელსვე, სექტემბერში უნდა დამთავრებულიყო. მუშაობის ტემპი გვაფიქრებინებს, რომ ის შეიძლება გაისადაც ვერ დაამთავრონ.

ჩვენ რომ მივედით, მშენებლობაზე რამდენიმე კაცი მუშაობდა. ორი კალატოზი, ერთი შემდუღებელი და ორიც დამხმარე მუშა.

ესენი საუკეთესო შემონტაჟეები მერაბ ელმაჭიძე და ბორის ჯიოევი გახლავან, ივანე ბობიჩი კი შედუღების ჩინებული ოსტატია. ივანე ჯიოევი დამხმარე მუშაა, ორი-სამი კაცის საქმეს აკეთებს, — აქებს მათ სამუშაოთა მწარმოებელი ივანე შახოვი.

ამწემ რკინა-ბეტონის კონსტრუქცია ჰაერში აიტაცა. მემონტაჟეებმა სათანადო ადგილას მიუმარჯვეს, მაგრამ ვერ შეეტია და ჩაქუჩით ჩამოამტვრიეს, ნაპირები სულ ჩამოიფხვნა. გამოჩნდა რკინის ჩონჩხი.

— ეს ცხინვალის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხნის ნაწარმია. პირველი შემთხვევა რომ იყოს, არაფერს ვიტყოდით, — ამბობს მემონტაჟე მ. ელბაქიძე, — ნაწარმი უსტანდარტოა და ასე ვწვალობთ. თან ერთიანი სიმტკიცეც ხომ ეკარგება?

— მუშახელი არ გვყოფნის, — გულახდილად ამბობს სამუშაოთა მწარმოებელი. — დავალება დათქმული დროისათვის რომ შესრულდეს, 10 კალატოზ-მემონტაჟე, მლესავები, შემდუღებლები სულ ცოტა — 30-35 კაცი ყოველდღიურად არის საჭირო. გარდა ამისა, აუცილებელია დროულად მოგვაწოდონ 580 სანტიმეტრი სიგრძისა და 120 სანტიმეტრი სიგანის 14 ცალი რკინა-ბეტონის კონსტრუქცია.

საშენ მასალის უქონლობის გამო თვენახევარს ხელდაშვებული იდგნენ მშენებლები.

ყოველივე ეს კარგად იციან საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ინდუსტრიის ტრესტში, მისი მმართველი ამ ამბ. ნ. ჩიჩუა რამდენჯერმე დაპირდა მშენებლებს, სამხრეთ ოსეთის ოლქის ხელმძღვანელ ამხანაგებს, რომ მშენებლობას მოამარაგებდა, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. საბავშვო ბაღის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისათვის განკუთვნილი 177 ათასი მანეთიდან დღემდე 80 ათასი მანეთია ათვისებული.

აგვიტოში ჩინებული სამშენებლო ამინდი იდგა, მაგრამ მხოლოდ 6400 მანეთის სამუშაო შეასრულეს. რაკიღა დარწმუნდნენ, რომ სექტემბრისათვის მშენებლობის დამთავრებას ვერ მოასწრებდნენ, მიყუჩდნენ. ყოველდღიურად სამუშაოდ მხოლოდ თითო-ოროლა კაცი მოდის.

ეს მდგომარეობა მოსვენებას არ უნდა აძლევდეს ტრესტ „ცხინვალმშენის“ (მმართველი რ. ძაგოევი) და მომრაკი მექანიზებული კოლონა 121-ს (უფროსი რ. მარგიევი) ხელმძღვანელებს. ბავშვებს სიხარული უნდა მოვგვაროთ, განსაკუთრებით — ბავშვთა წელს. მუშაობა მთელი ფრონტით უნდა გაიშალოს, რომ საშვიდწლიმბროდ მაინც იზეიმონ ახალმოსახლეობა ნორჩმა ცხინვალელებმა.

**გ. თედეევი,**
**„კომუნისტის“ საკ. კორ.**

---

## ოფიციალური განყოფილება

## ••

## ᲨᲔᲓᲐᲕᲐᲗᲔᲑᲘ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲡ

**სსრ** კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ:

დიდი სამამულო ომის მონაწილენი განთავისუფლდნენ სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის მიერ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების ასაშენებლად მიცემული სესხის პროცენტების ზღვევინებისაგან, და აღარ გადახდეთ აღნიშნულ პირებს წინათ ამ მიზნით მიცემული სესხის პროცენტები, რომელთა დაფარვის ვადა არ დასდგომიათ ამ საკითხზე დადგენილების გამოსვლამდე;

მიეცეთ პენსიონერებს — მებაღეობის ამხანაგობების (კოოპერატივების) წევრებს სსრ კავშირის სახბანკის კრედიტი ბაღში ჩასადგმელი სახლების ასაშენებლად და ბაღის ნაკვეთების კეთილმოსაწყობად იმ პირობების კვალობაზე, რომლებიც გათვალისწინებულია ასეთი ამხანაგობების (კოოპერატივების) წევრი მუშამოსამსახურეებისათვის. (საკდესი).

## ᲕᲘᲜ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ

**— ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ** დებულებათა შესაბამისად, დიდი სამამულო ომის მონაწილეებს განეკუთვნებიან ყველა სამხედრო მოსამსახურე და თავისუფლად დაქირავებული შემადგენლობის პირი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ დიდ სამამულო ომში მოქმედი არმიის, პარტიზანული შენაერთებისა და იატაკქვეშა ჯგუფების შემადგენლობაში ან უზრუნველყოფდნენ გამარჯვებას ომის წლებში თავიანთი მუშაობით თავდაცვის სახალხო კომისარიატის (სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის) ცენტრალურ აპარატში და სამხედრო ოლქებში და ამის გამო დაჯილდოებული არიან მედლებით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ ან „იაპონიაზე გამარჯვებისათვის“. ომის ყველა მონაწილე დაჯილდოდა ეგრეთვე საიუბილეო მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების ოცდაათი წელი“, რომელსაც აქვს წარწერა „ომის მონაწილეს“.

რაც შეეხება შეღავათებს, საკანონმდებლო აქტები და მთავრობის დადგენილებანი შეიცავს კონკრეტულ მითითებებს მათი ხასიათისა და იმის შესახებ, თუ ვისზე ვრცელდება ისინი. მაგალითად, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 10 ნოემბრის № 907 დადგენილების შესაბამისად, დამატებითი შეღავათები ომის არა ყველა მონაწილეს, არამედ, მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეებს, და მათ შორის მხოლოდ იმათ, რომლებიც მოქმედი არმიის შემადგენლობაში გადიოდნენ სამსახურს სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის პერიოდში ან სსრ კავშირის დასაცავად სხვა საბრძოლო ოპერაციების დროს, აგრეთვე სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის პარტიზანებს.

(„ᲙᲝᲓᲔᲚᲘᲐ“, № 38).

## ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲔᲑᲐ

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით** ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსს ამხ. კობა იღლიას ძე **პატიაშვილს** მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის სპატიო წოდება.

## ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:**

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 მთავარი სამმართველოს მე-2 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ამხ. ნოდარ ბიძინას ძე **ᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲫᲔ** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო ნაწილში ამხ. თენგიზ კონსტანტინეს ძე **ᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

## ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ «ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-1141»

**1979 წლის** 16 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1141“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა, რომელიც ნორმალურად მუშაობს, განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. საკოორდინაციო-გამომთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

---

ᲚᲣᲑᲚᲘᲐᲜᲐ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

# ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

**ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲘᲡ** სოციალისტური რესპუბლიკის „დედაქალაქ ლუბლიანაში დამთავრდა თბილისისა და ქართული კულტურის დღეები, რომელიც ერთ კვირას გრძელდებოდა. დელეგაციას, რომელსაც მეთაურობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, მრავალი შეხვედრა და საუბრები ჰქონდა მშრომელებთან, სლოვენიის კომუნისტთა კავშირის, მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის რესპუბლიკური კონფერენციის ხელმძღვანელ მუშაკებთან, ლუბლიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების, სკუპშჩინის, ქალაქის თემების წარმომადგენლებთან. დელეგაციას ესტუმრა ბევრი საწარმოს კოლექტივებს, უნივერსიტეტს. იგი ეწვია აგრეთვე ბელგრადს, სადაც გაიმართა საუბარი სერბიის კომუნისტთა კავშირის საქალაქო კონფერენციის კომიტეტში.

შეხვედრების დროს სტუმარ-მასპინძლებმა დაწვრილებით გაიცნეს ერთმანეთის პარტიული და საზოგადოებრივი მუშაობის გამოცდილება, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, მიღწევები, სოციალური პროგრამების რეალიზაციის მიმდინარეობა, არაერთხელ აღინიშნა მისწრაფება კიდევ უფრო განამტკიცონ მეორე მსოფლიო ომის წლებში საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოწრთობილი საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა მეგობრობა. დაამობილებული ქალაქების თბილისისა და ლუბლიანის განვითარებადი კავშირურთიერთობა, რომელმაც ფაქტობრივად ორი რესპუბლიკის სხვა ქალაქები და რეგიონებიც მოიცვა, წვლილს მატებს ამ მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცების საქმეს, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობას, გამოითქვა სურვილი კიდევ უფრო გაფართოონ თბილისელთა და ლუბლიანელთა კონტაქტები, დაამყარონ ისინი უშუალოდ მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს, შემოქმედების კოლექტივებს, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის მოღვაწეებს შორის, ახალგაზრდულ და სპორტულ ორგანიზაციათა, უმაღლეს სასწავლებელთა და სხვა დაწესებულებათა შორის. ამის შესაბამისად დაისახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს თბილისისა და ლუბლიანის მშრომელებს უკეთ გაეცნონ ორი დამმობიღებული ქალაქის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

უდიდესი წარმატებით ჩაიარა ლუბლიანასა და სლოვენიის სხვა ქალაქებში თბილისის მხატვრული კოლექტივებისა და ცალკეული შემსრულებლების — სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „რუსთავის“, ანსამბლ „ოვერიის“, სიმფონიური კვარტეტის, „ციხფერ ტრიოს“, ოპერის სოლისტების ც. ტატიშვილისა და ნ. ანდღულაძის, დირიჟორ ჯ. კახიძის, პიანისტ ლ. თორაძისა და სხვათა კონცერტებმა. თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები შეხვდნენ შემოქმედებითი და სამეცნიერო დაწესებულებების, სასწავლებლების კოლექტივებს. დიდი წარმატება ჰქონდა ლუბლიანელთა შორის ქართულ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს, რომლებიც ამ დღეებში უჩვენეს. უამრავმა ხალხმა დაათვალიერა გამოფენები „თბილისი — საქართველოს სსრ დედაქალაქი“ და „საქართველოს სახვითი ხელოვნება“.

თბილისისა და ქართული კულტურის დღეები ფართოდ შუქდებოდა ლუბლიანისა და სლოვენიის ტელევიზიითა და რადიოთი, პრესის ფურცლებზე. (საქინფორმი).



□

**სურათებზე: ზემოთ — ლუბლიანის მთავარ ქუჩაზე; ქვემოთ მარცხნიდან — მრავალი საინტერესო შეხვედრა ჰქონდა ცნობილ თბილისელ ელმავალმშენებელს გ. მეტონიძეს; ქართულ კინოფილმებს ლუბლიანელთა დიდი მოწონება ხვდა; თბილისის ქუჩა ლუბლიანაში.**

**საქინფორმის სპეც. კორესპონდენტის ო. თურქიას ფოტო.**

---

## ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ

# ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲬᲔᲚᲡ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ,** 17 ოქტომბერი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში დაიწყო გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა, რომელზეც იხილავენ ბავშვის საერთაშორისო წლის ფარგლებში ღონისძიებათა შესრულების საკითხს.

ბავშვთა მდგომარეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი მომავლის განსაზღვრისათვის, თქვა გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ სალომ ალჰედ სალიმმა, რომელმაც სხდომა გახსნა. ეს პრობლემა კაცობრიობის საერთო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემადგენელი ნაწილია.

ბავშვთა მდგომარეობის პრობლემა, ხაზგასმით აღნიშნა თავის გამოსვლაში ბულგარეთის წარმომადგენელმა ლ. ჟივკოვამ, არ შეიძლება გადაიჭრას ჩვენი დროის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკვანძო პრობლემებისაგან მოწყვეტით, როგორიც არის საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფა და ომის საფრთხის ლიკვიდაცია.

კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა გამოსვლები მოწმობენ, რომ ამ სახელმწიფოებში გადაუჭრელია ბავშვთა და მოზარდთა საკვანძო პრობლემები.

დისკუსიის მსვლელობაში მოჰყავდათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, იუნესკოს, ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები, რომელთა მიხედვით 500 მილიონი ბავშვი მთელს მსოფლიოში სიღატაკეში ცხოვრობს, 200 მილიონი ყოველწლიურად შიმშილობს, 100 მილიონს არსოდეს არ აუღია წიგნი ხელში. ბევრ ქვეყანაში არ არსებობს ჯანმრთელობის დაცვის ელემენტარული ნორმები ბავშვებისათვის, მილიონობით რომ იღუპება სამედიცინო დახმარების უქონლობის გამო. 15 წლამდე ასაკის 15 მილიონზე მეტი ბავშვი იძულებულია საკუთარი შრომით იშოვოს ლუკმა-პური.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ განვითარებადს ქვეყნებში ბავშვთა საგანგებო მდგომარეობა მრავალი წლის კოლონიური და ნეოკოლონიური ექსპლოატაციის შედეგია. ამასთან დელეგატები ყურადღებას უთმობდნენ იმას, რომ ამგვარი მოვლენები იშვიათი არ არის არც განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. იუნესკოს მონაცემებით, 10-14 წლის ასაკის ბავშვები ამ ქვეყნებში მუშახელის 4 პროცენტს შეადგენენ. მეწარმენი ამჯობინებენ გამოიყენონ ბავშვთა შრომა, რადგან შეუძლიათ ეკონომიურად გაუწყონ იქსპლოატაცია და ხელფასიც ნაკლები მისცეს.

ის, რაც ბავშვის საერთაშორისო წლის ფარგლებში ბევრი ქვეყნისათვის პერსპექტიულ მიზნად არის დასახული, განაცხადა სსრ კავშირის დელეგატმა დ. პ. კომაროვამ, როგორც სასურველი და განსახორციელებლად შორეული იდეალი, სსრ კავშირში დიდი ხანია რეალობად იქცა. საჭიროა საერთო ღონისძიებებით ვეცადოთ რეალური განხორციელების მიღწევას, რათა ამის შედეგად განთავისუფლებული სახსრები გამოვიყენოთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, კერძოდ, ბავშვთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ბავშვის საერთაშორისო წელი, ხაზი გაუსვა სსრ კავშირის დელეგატმა, საბჭოთა ადამიანების აზრით, არის ბავშვთა სოციალური გაჭირვების, რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ჭლანეტის მთელი პროგრესული ძალების ბრძოლის წელი, კაცობრიობის მომავლისათვის ბრძოლის წელი.

* * *

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ,** 17 ოქტომბერი. საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის პრინციპის ეფექტიანობის გაძლიერების საკითხის განხილვას შეუდგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მეექვსე კომიტეტი (სამართლებრივი საკითხები). კომიტეტს წარუდგინეს სამუშაო ჯგუფის მოხსენება, რომელმაც განიხილა საბჭოთა კავშირის მიერ შემუშავებული შესაბამისი ხელშეკრულების პროექტი.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის მსოფლიოს ხელშეკრულების დადების იდეა სკკპ XXV ყრილობაზე წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, და სწორედ მაშინ ეს საკითხი საბჭოთა კავშირმა ოფიციალურად დასვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად.

როგორც დისკუსიებმა გვიჩვენა, საბჭოთა წინადადებას მხარს უჭერს სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა.




---


## ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

# ᲓᲔᲓᲝᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲖᲣᲠᲜᲐᲚᲘ


ᲡᲙᲚᲔᲠᲝᲖᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲔᲑᲘᲗ ᲡᲙᲚᲔᲠᲝᲖᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐ

**ᲡᲐᲜ-ᲮᲣᲡᲘ,** 17 ოქტომბერი. სალვადორიდან მიღებული ცნობებით, ოფიციალური ჯგუფმა პოლკოვნიკ ანტონიო მახანოს მეთაურობით, რომელსაც მხარს უჭერდნენ არმიის ნაწილები, დაამხო დიქტატორი რომერო და სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას. რომერო გვატემალის სამხედრო თვითმფრინავით საზღვარგარეთ გაიქცა.

ახალი ხელისუფალნი კონტროლს უწევენ მდგომარეობას. ქვეყნის თითხმეტსავე დეპარტამენტში, გამოცხადებულია, რომ დროებით ქვეყანას განაგებს სამხედრო-სამოქალაქო ხუნტა, რომლის შემადგენლობას მოგვიანებით /დაასახელებენ.

რომერომ სალვადორში ძალაუფლება ხელთ იგდო 1977 წლის თებერვალში, გააყალბა რა პრეზიდენტის არჩევნების შედეგები, არმიის, პოლიციისა და მოფაშისტე ორგანიზაციების დახმარებით მან ქვეყანაში გაიჩაღა სისხლიანი ტერორი. მარტო წელს რეპრესიების მსხვერპლი გახდა დიქტატურის 500-ზე მეტი მოწინააღმდეგე — მუშები, მასწავლებლები, სტუდენტები, გლეხები.

ამას მოჰყვა ის, რომ ქვეყანაში მკვეთრად გაძლიერდა ხალხის გამოსვლები რომეროს დადაყენება ოლიგარქიისა და ტერორისტული ელემენტების ინტერესებიდან გამომდინარეობს. ეს ფაქტი ადასტურებს, ამბობენ ამ ქვეყნის ლოზუნგებით, ოლიგარქიის ბატონობა ეროვნულ ინტერესებზე, ეროვნულ ინტერესებზე ამ ქვეყნის ხალხებს

# დრო, ამბები, მოვლენები

„კომუნისტისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები გვაცნობებენ

## მხატვრობა

### პოლონური ჟურნალი აცნობს...

**მხატვარი** ქალის მანანა ბობოხიძის შემოქმედებას საკმაოდ კარგად იცნობენ საზვითი ხელოვნების მოყვარულნი. მას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო გამოფენებში. ახლახან პოლონურმა ჟურნალმა „პშეიაზმა“ (შეგობრობა) ვრცელი ადგილი დაუთმო ქართველ მხატვარს და მკითხველებს დაწვრილებით გააცნო მ. ბობოხიძის შემოქმედება.

### ფერმწერის სამყარო

**საქართველოს სსრ** ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა გამოჩენილი საბჭოთა მხატვრის, საბჭოთა ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებლის რობერტ რაფაელის ძე ფალკის ნამუშევართა გამოფენა.

გამოფენა, რომელსაც ხელოვნების მუზეუმი ამჟამად სთავაზობს თბილისელ ფერწერის მოყვარულთ, შედგენილია მხატვრის მეუღლის ა. შჩეკინ-კროტოვასა და მხატვრის ქალიშვილის კ. რ. ბარანოვსკაია-ფალკის კოლექციაში დაცული ნამუშევრებისაგან. აქვე წარმოდგენილია ის რამდენიმე სურათი, რომელიც მუზეუმის საკუთრებას წარმოადგენს.

გამოფენა გახსნა მუზეუმის დირექტორმა თ. სანიკიძემ, რომელმაც აღნიშნა მხატვრის თვალსაჩინო როლი როგორც საბჭოთა, ისე მსოფლიო ფერწერის განვითარების ისტორიაში, დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო რობერტ ფალკის შემოქმედების ღირსშესანიშნავ მომენტებს.

მხატვრის ნამუშევრები სხვადასხვა დროს ხშირად ყოფილა გამოფენილი ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. ეს რ. ფალკის პირველი პერსონალური გამოფენაა თბილისში. აქ უმთავრესად წარმოდგენილია მაღალი პროფესიული ოსტატობით შესრულებული პორტრეტები და პეიზაჟები. მხატვრის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა საფრანგეთში, რუსეთის სხვადასხვა კუთხეში, შუა აზიაში ხანგრძლივი მოგზაურობის შთაბეჭდილებებმა. გამოფენა დამთვალიერებლებს საშუალებას აძლევს გაეცნონ უაღრესად საინტერესო ხელოვნის დიდ შემოქმედებითს გზას.

ზ. ღავთაძე.





რ. ფალკის ნამუშევრები: „მხატვარ ა. მინჩინის პორტრეტი“ (ზემოთ); „ფრანგული სოფელი“.

## თეატრი

### „ხიდი“ — საქართველოდან საზღვარგარეთ

**ქართველი** დრამატურგის ა. ჩხაიძის ცნობილი პიესა „ხიდი“ ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის 40-ზე მეტ თეატრში დაიდგა.

ახლახან ა. ჩხაიძემ მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამომცემლობა „ჰენშელის“ მიერ დასტამბული „ხიდის“ გერმანული თარგმანი და ცნობა, რომ პიესა უკვე დაიდგა ქალაქ სტენდალის „ალმარკის“ თეატრში და იქაური მაყურებლის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ქართველი ავტორის პიესაზე ამჟამად მუშაობს როსტოკის თეატრი და პრემიერა დანიშნულია ოქტომბრის დამლევისათვის, როდესაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა თეატრის დღეები გაიმართება. პრემიერაზე მიწვეულია ა. ჩხაიძე.

ქართველმა მკითხველმა იცის, რომ უფრო ადრე „ხიდი“ წარმატებით დაიდგა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, უჩვენეს ტელევიზიით. ახლახან პოლონურმა ჟურნალმა „დიალოგმა“ დაბეჭდა ა. ჩხაიძის მეორე პიესა „როცა ქალაქს სძინავს“ (მთარგმნელი გრაჟინა მილოში).

ავტორს აცნობეს, რომ სულ მალე პოლონეთის ერთ-ერთი დრამატული თეატრი ამ ნაწარმოებსაც დადგამს.

ვ. მაღლაკელიძე.

## სამეცნიერო სესია

### გაისინჯა ასი პაციენტი

**ტყიბული.** მეშახტეთა ქალაქის კულტურის სასახლეში ორ დღის მიმდინარეობდა გამსვლელი სამეცნიერო-პრაქტიკული სესია, რომელიც მოაწყვეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, ტრავმატოლოგ-ორთოპედთა რესპუბლიკურმა სამეცნიერო საზოგადოებამ და ტყიბულის ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო განყოფილებამ.

ტრავმატოლოგიის აქტუალურ საკითხებზე მოხსენებები წაიკითხეს აკადემიკოსმა ო. ლუდუშაურმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებმა ნ. გურგენიძემ და ლ. მშვიდობაძემ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატებმა გ. ალბოროვმა, ი. ლამარაშვილმა, ჯ. გოგუაძემ, ბ. მეფარიშვილმა და მ. ელიაშვილმა, ექიმებმა შ. სახვაძემ და ი. გოგიშვილმა.

სესიის მონაწილეებმა მიიღეს და გასინჯეს ასამდე პაციენტი.

ვ. ცირეკიძე.

## შემთხვევა

### პატარა ეწყემსი გადაარჩინეს

**ახმეტა.** სოფელ მატანში მცხოვრებმა გიო ქართველიშვილმა, რომელიც სოფლის ნახირს მწყემსავს, ამას წინათ სამწყემსოში თან წაიყვანა თავისი 6 წლის ვაჟი. „საწნახის წყაროს“ ტყეში სოფლის ნახირი მან ბიჭის ანაბარად დატოვა და თვითონ თანასოფელელ მეინახეებთან ერთად არყის სმით გაერთო. პირუტყვის დევნაში უმთვალყურეოდ მიტოვებულ ბავშვს გზა აებნა და ტყეში დაიკარგა.

ეს ამბავი გვიან საღამოს გაიგეს სოფელში.

სოფელი მთელ ღამეს უშედეგოდ ეძებდა პატარას, გადაიკეტა სარწყავი არხი, მოისინჯა ხეები და კლდეები. მეორე დღეს, საღამო ხანს ტყის სიღრმეში მიაგნეს უვნებელს. პატარა მწყემსმა მშიერ-მწყურვალმა, მარტომ, მამაცურად გაათია ღამე ტყეში.

დ. გერგიშვილი.

## თარგების კერია

ათი წელი ემსახურებოდა ბატონს მანიცა თარბა. თავისი მძიმე, მონური შრომისათვის კაპიკებს იღებდა. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ სრულიად შეცვალა გლეხი ქალის ცხოვრება, ორმოცდაათი წლის წინათ ერთ-ერთი პირველი შევიდა იგი კოლმეურნეობაში, სადაც მთელი ამ წლების განმავლობაში თავდადებით მუშაობდა.

...ოჩამჩირის რაიონის სოფელ მოქვში თარბების სახლი სავსე იყო სტუმრებით — 80 წლის მანიცა რაშიდის ასულის ნათესავებით: ორმოცდაათზე მეტი კაცი შეიკრიბა საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანის იუბილეს აღსანიშნავად — ექვსი ვაჟი და რვა ქალიშვილი, სხვადასხვა ეროვნების შვილიშვილები და ბადიშშვილები: აფხაზები, ქართველები, რუსები, უკრაინელები, თორმეტი პროფესიის წარმომადგენლები. მათი საერთო შრომითი სტაჟი 500 წელზე მეტს შეადგენს.

მანიცა თარბას დაბადების დღე დაემთხვა ცხრა წლის შვილიშვილის მილადას დღეობას. მხიარული იყო საოჯახო ზეიმი თარბების სახლში...

**სურათებზე:** მრავალი სტუმარი შეიკრიბა მანიცა რაშიდის ასული თარბას ოჯახში; მარჯვნივ — ბებია და შვილიშვილები;

ი. ჰოხორნელიძის ფოტო.

## ოჯახი

### ბევრი შვილი ბევრი სიხარულია

### გედნიერი იმანალიევები

**რამდენიმე** დღის წინათ დალესტნის სახალხო პოეტმა ფაზუ ალიევამ საბჭოთა მეურნეობის „გეჯუხის“ შესახებ ნარკვევში გაგვაცნო იმანალიევების დიდი გამრჯე ოჯახი, რომელშიც ასზე მეტი კაცია. მკითხველთა თხოვნით დღეს ვაქვეყნებთ ამ ოჯახის კოლექტიურ პორტრეტს, თუმცა ეს სრულიადაც არ არის ოჯახის სრული შემადგენლობა.

იმანალიევებთან ერთად სოფლის მეურნეობის მუშაკის საკავშირო დღეს ეულოცავთ ჩვენი სოფლების ყველა მშრომელ დინასტიას, სადაც მამათა და დედათა მიწა-წყალი და საქმენი მემკვიდრეობით გადადის და, მაშასადამე, საიმედო ხელშია.

„სელსკაია ჟიზნ“,

1979 წლის 14 X.

## ქრონიკა

### ადგილი დღესასწაულები

**ხულო.** აჭარის მთიებს შეფენია სოფელი ხიხაძირი. აქ, რვაასი წლის წინათ დაიბადა, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მწერალი, მოაზროვნე, ასტრონომი ტბელ აბუსერისძე. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დიდ ინტერესს იწვევს. ამის დადასტურებაა გამოკვლევები, რომლებიც მის შესახებ დაწერეს ი. ჯაბახიშვილმა, კ. კეკელიძემ, ლ. მუსხელიშვილმა.

— ტბელ აბუსერიძის ცხოვრების თარიღები ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული, — თქვა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. გუგუნავამ, — სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეს უნდა იყოს 1190-1240 წლები. იგი დაიბადა აჭარის განთლებულ ერისთავთა ოჯახში, რამაც დიდად შეიწყო ხელი ტბელის პიროვნებისა და განსაკუთრებული ნიჭის ჩამოყალიბებას. მისი მემკვიდრეობიდან ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე ჰაგიოგრაფიული და კალენდარულ-ისტორიული ნაწარმოები, რომლებიც მნიშვნელოვან ისტორიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცნობებს გვაწვდის. მათში აღწერილია აჭარელი გლეხების ყოფა, ახსნილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი მოვლენა.

ტბელ აბუსერისძის კალენდარულ-ასტრონომიული ტრაქტატი წარმოადგენს ვრცელ ცნობარს, რომელშიც მოცემულია წელთაღრიცხვის სხვადასხვა სისტემა, აგრეთვე საეკლესიო დღესასწაულების ცხრილები: გასული საუკუნის შუა ხანებში ეს ტრაქტატი ფრანგულ ენაზე თარგმნა ორიენტალისტმა მ. ბროსემ.

და ი ახლა ტბელ აბუსერისძეს შთამომავლებმა მიუძღვნეს დიდი სახალხო დღესასწაული „ტბელობა“. იგი შეემატა ტრადიციულ დღესასწაულებს, რომლებსაც საქართველოს მშრომელები ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა ხსოვნის აღსანიშნავად მართავენ. „ტბელობა“ იზეიმეს ხიხაძირისა და სხალთის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში.

...სოფელ ფურტიოში, XII საუკუნის ხიდთან, აჭარის ყველა კუთხიდან დღესასწაულზე ჩამოსულ სტუმრებს დახვდნენ პიონერები და მოსწავლეები, რომლებმაც წარმოადგინეს ტბელ აბუსერისძისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი. სოფელ სხალთაში, სადაც უძველესი ტაძრის შენობაში ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი მოქმედებს, დღესასწაულის დღეს გაიხსნა კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, ხოლო სოფელ ვარნებში მოეწყო თვითმოქმედი მსახიობების კონცერტი, გამოვიდნენ პოეტები, სახალხო მთქმელები, ჭიდაობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სოფლის ფალავნები.

ზეიმის მონაწილეები ეწვივნენ სოფელ თხილვანასაც, სადაც არქეოლოგებმა აბუსერისძეთა საგვარეულო აკლდამის ნაშთები იპოვეს, და სოფელ ბაკოსაც, სადაც სიკვდილით დასაჯეს სელიმ ხიმშიაშვილი — ოსმანთა უღლისაგან აჭარის განთავისუფლებისა და დედასაქართველოსთან მისი შეერთებისათვის მებრძოლი.

სოფელ ხიხაძირის ცენტრში გაიმართა ტბელის ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი.

ბევრი რამ საინტერესო შეიტყო ყველამ, ვინც ამ დღესასწაულს დაესწრო. მათ აქ ნახეს ხულოელთა არა მარტო წარსული, არამედ აწმყოც. აჭარის მთის რეგიონის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ახალი ეტაპი გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „აჭარის ასს რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონების სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. მარტო ხულოს რაიონში ამ დადგენილების შესაბამისად ააშენებენ სამსასუქებელ მოედანს 2.000 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, ათ ახალ სარძეო-სასაქონლო ფერმას, ოთხ ვეტერინარულ უბანს. არნახული გაქანებით ვითარდება სასკოლო მშენებლობა. რაიონის 13 სოფელში აშენდება ახალი სკოლები, ხუთში — სკოლასთან არსებული ინტერნატები, მწყობრში ჩადგება ექვსი ბაგა-ბაღი. უმჯობესდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. ხიხაძირში მიმდინარეობს უბნის საავადმყოფოს რეკონსტრუქცია, დასახულია აშენდეს რაიონული 250-ადგილიანი საავადმყოფო. ახალ შენობებში განლაგდება სანეპიდსადგური და აფთიაქი. ხულში შენდება ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების ფილიალის ახალი საწარმოო კორპუსი. მუშებისათვის აღიმართება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. აქვე გათვალისწინებულია აშენდეს სპორტული სკოლა საცურაო აუზითურთ, 350-ადგილიანი კინოთეატრი.

გვიანობამდე ისმოდა მთაში „ტბელობის“ პირველი დღესასწაულის ჰანგები და სიმღერები.



### მთიელები ზეიმობენ ტბელობას

## ფრე... სტუმართა სასარგებლოდ

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ლენინგორი) — 1:1 (0:0)

**უმაღლესი** ლიგის ძველი მკვიდრების — თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა მაჯიბერა ხანია ფრედ მთავრდება. „ბერ“ შინაც თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ „ალიონ“ ზე გამართული შეხვედრა. ... დობიანი ანგარიშით დამთავრდა — 1:1. მე-60 წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმოდან ბურთი გაიტანა ტოლსტიხმა, 8 წუთის შემდეგ ი გოლი გაქვითა მ. მაჩაიძემ. თუმცა ისიც უნდა შეენიშნოთ, რომ მატჩის სანახაობითი მხარე სამშვიდობო განწყობილებას არ გამოხატავდა. მაგრამ ასეა თუ ისე, თბილისის „დინამო“ წლევანდელ ჩემპიონატში რიგით მეთორმეტე და თანაც მეოთხე, წაგების ტოლფას ფრეს დასჯერდა. ეს მაშინ, როცა მოსკოველებს ამ ყაიმმა ერთი ქულა შესძინა.

მატჩს ესწრებოდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ მეტოქის — „ჰამბურგის“ [illegible] ბეციი. მას [illegible] „დინამოს“ სათამაშო [illegible] „დინამოელებმა შესუსტებული და ერთგვარად საექსპერიმენტო შემადგენლობით თავიანთი შესაძლებლობების მხოლოდ მინიმუმი გამოავლინეს.

ცხადია, ეს სტრატეგიული გეგმა გუნდმა, ალბათ, „ჰამბურგთან“ მომავალი, განსაკუთრებით პასუხსაგები მატჩისათვის მზადებას დაუქვემდებარა.

თბილისის „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, მუჯირი, ქორძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კაკილაშვილი (კანთელაძე), გუცაძევი, ყიფიანი, კოპალეიშვილი (შენგელია).

ჯ. ენუქიძე.

### სხვა მატჩები

**უმაღლესი** ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 29-ე ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა:

„ნეფთჩი“ — „ტორპედო“ 1:0
„ზარია“ — „ყაირათი“ 1:1
„ჩერნომორეცი“ — „ლოკომოტივი“ 2:0
ასკ — „შახტიორი“ 2:0
„ზენიტი“ — „დინამო“ (კ.) 1:3
„სპარტაკი“ — „არარატი“ 1:0
„კრ. სოვეტოვი“ — „დინამო“ (მნ) 1:4

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29-ე ტურის შემდეგ

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 18 | 8 | 3 | 55-20 | 44 |
| „დინამო“ (კ) | 18 | 5 | 6 | 41-20 | 41 |
| „შახტიორი“ | 16 | 8 | 5 | 46-25 | 40 |
| „დინამო“ (თბ) | 15 | 12 | 2 | 43-20 | 38 |
| „დინამო“ (მ) | 14 | 8 | 7 | 33-23 | 36 |
| „დინამო“ (მნ) | 12 | 6 | 10 | 36-27 | 30 |
| „ზენიტი“ | 11 | 7 | 11 | 38-39 | 29 |
| ცსკა | 10 | 8 | 11 | 36-35 | 28 |
| „ფახთაქორი“ | 10 | 8 | 10 | 32-38 | 28 |
| „არარატი“ | 9 | 12 | 7 | 33-27 | 26 |
| „ჩერნომორ.“ | 9 | 9 | 11 | 27-29 | 26 |
| „ყაირათი“ | 7 | 8 | 14 | 23-35 | 22 |
| „ლოკომოტ.“ | 6 | 11 | 12 | 36-48 | 20 |
| ასკ | 6 | 14 | 9 | 32-44 | 20 |
| „ტორპედო“ | 6 | 9 | 14 | 23-34 | 20 |
| „ნეფთჩი“ | 6 | 8 | 15 | 23-42 | 20 |
| „ზარია“ | 4 | 10 | 15 | 31-49 | 16 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 6 | 3 | 20 | 18-51 | 15 |

### ჰამბურგელი მწვრთნელი თბილისში

**17 ოქტომბერს** თბილისში ჩამოვიდა „ჰამბურგის“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი ბრანკო ზებეცი. მან „საქმეში“ იხილა მომავალი მეტოქე ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში — თბილისელი დინამოელები.

— მას შემდეგ, რაც თბილისის დინამოელებმა უეფას თასის გათამაშებაში წააგეს დასავლეთ ბერლინის „ჰერტას“ კლუბთან, თქვენმა ფეხბურთელებმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს კლასი, — თქვა ბ. ზებეცმა. — სიმართლე რომ ვთქვათ, მაშინ მათ ვერ მოახდინეს განსაკუთრებული შთაბეჭდილება. მაგრამ ახლანდელმა დამაჯერებელმა გამარჯვებამ მრისხანე „ლეგერპულზე“ თბილისის „დინამო“ ევროპის ტურნირის ფავორიტთა შორის მოაქცია. ჩვენთვის უფრო სასურველი იქნებოდა სხვა ნებისმიერი მეტოქე.

მწვრთნელმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ თანდათან სპორტულ ფორმაში შედის გუნდის საუკეთესო მოთამაშე ინგლისელი კევინ კიგანი. „კელტთან“ მატჩში მან ბურთი გაიტანა და კარგად დირიჟორობდა პარტნიორთა მოქმედებას.

იმასთან დაკავშირებით, რომ „ჰამბურგის“ რამდენიმე მოთამაშე გაწვეული იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის ფარგლებში უელსის გუნდთან შესახვედრად, კლუბმა გამოტოვა პირველობის მორიგი ტური. ეს დრო დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა გამოიყენეს ავსტრიაში გასამგზავრებლად, სადაც მათ ამხანაგური შეხვედრა ჰქონდათ ეენის „რაპიდთან“, ფრე — 1:1. (საქინფორმი).

### ესპანეთშიც და ბრაზილიაშიც პირველები

**როცა** ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილი იყო რიო-დე-ჟანეიროს (ბრაზილია) საზონათშორისო ტურნირებზე და თანაც ყველაზე მეტად მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრების შედეგები გვაინტერესებდა, ბარსელონაში (ესპანეთი) დამთავრდა ერთი მეტად საინტერესო ტურნირი. ესპანეთის ამ ქალაქში გამართულ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში თავი ისახელა ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ. მან 9 მოჭადრაკე ვაჟს ტოლი არ დაუდო და თბილისელ ე. გუფელდთან, აგრეთვე იტალიელ ბ. ტატაისთან ერთად პირველი-მესამე ადგილები გაინაწილა. პრიზიორებმა 6-6 ქულა დააგროვეს.

ახლა კი რიო-დე-ჟანეიროს შეჯიბრებათა შესახებაც ვისაუბროთ. ქალთა საზონათშორისო ტურნირის მეთექვსმეტე ტურში ნანა იოსელიანმა ლუიზა დე კარვალოს მოუგო, ჟუჟა ვერეცკი (უნგრეთი) — რეჩელ კროტოს (აშშ), ტატიანა ზატულოვსკაიამ — ედიტ სოპეს (არგენტინა), ნანა ალექსანდრიას შეხვედრა ხადილკართან (ინდოეთი) არ დამთავრებულა, იგი გადაიდო. ამ დღეს ვალენტინა კოზლოვსკაია თამაშიდან თავისუფალი იყო.

ბოლო ტურის წინ საზონათშორისო ტურნირში გამარჯვებულ ნანა იოსელიანს 14 ქულა აქვს, ვერეცის — 11,5, ალექსანდრიას და მილუნკა ლაზარევიჩს (იუგოსლავია) — 9,5-9,5 და თითო გადადებული პარტია, კოზლოვსკაიას — 9,5, ელისაბედ პოლიჭრონიადეს (რუმინეთი) — 8(2), ზატულოვსკაიას — 7,5 (2).

ვაჟთა შეჯიბრებაში 17 ტურის შემდეგ რობერტ ჰიუბნერს (გფრ) 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ტიგრან პეტროსიანს და ლაიმენ პორტიშს (უნგრეთი) — 10-10; პორტიშს ერთი გადადებული პარტია აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან იან ტბმანი (ჰოლანდია) — 9 (2), რაფაელ ვაჭანიანი, ეუგენიო ტორე (ფილიპინები) და დიულა საქსი (უნგრეთი) — 8-8 ქულა. საქსს 1 გადადებული პარტია აქვს.

### ღრმა ლიდერი

**საქართველოს** მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატში (უმაღლესი ლიგა) დამთავრდა 4 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. ჩაჩიბაიამ სძლია შეჯიბრების უხუცეს მონაწილეს, შიშოვს, რომელიც დამარცხდა აგრეთვე ბოკუჩავასთან. ბოკუჩავამ ყაიმით დამთავრა პარტია ზაიჩიკთან. ყაიმით დასრულდა აგრეთვე სტურუასა და ხანთაძის, ჩეხელიანისა და ჩაჩიბაიას, სტურუასა და გია გიორგაძის შეხვედრები.

4 ტურის შემდეგ 3-3 ქულა აქვთ მიქაძეს და ხანთაძეს, 3 თამაშიდან 2,5 ქულა მოაგროვეს უბილავამ და ზაიჩიკმა, 4 თამაშიდან — 2,5 ქულა ჩეხელიანმა, ეფიმოვმა და ჩახოიანმა.

### გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

**გთხოვთ,** ნება მიბოძოთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ეღრმესი ამ პირსა და ორგანიზაციას, რომელმაც მომილოცეს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდების მონიჭება.

ვერიკო ანჯაფარიძე,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.


**კომუნისტი** რედაქცია:

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

380096 თბილისი-96, ლენინის 14.

რედაქტორის მოადგილეებს — 99-93-08, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებს: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მეცნიერების — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მეზრძოლეთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ჟუნიასი — 5-26-36; ბორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყაროო — 23-66; ტყიბული — 25-82.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო პრესაში, ხოშარაულის, 29.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 13698


1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

## დანაშაულის კვალდაკვალ

# მწარე მანდარინი

**სოფლის** მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღეს დიდი შრომითი გამარჯვებებით შეეგებნენ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მშრომელები.

მეჩაიეებმა, მრავალი სიძნელის მიუხედავად, ჯერ არნახული მოსავალი მოიწიეს, რეკორდთა რეკორდს მიაღწიეს და მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში შეუდგნენ შრომას. რესპუბლიკის ზვრებში თავგამოდებით შრომობენ მევენახეები, რათა პირნათლად შესრულონ სახელმწიფო გეგმა და გამარჯვება უპატაკონ საშობლოს.

რეკორდული მოსავლის ასაღებად ემზადებიან მეციტრუსეებიც. ოქროშეპარებული ნაყოფით დახუნძლულ პლანტაციებში მალე აგუგუნდება შრომის სიმღერა. ერთი სიტყვით, კარზეა მომდგარი ოქროს რთველი, მაგრამ საეკულანტური, კერძომესაკუთრული ჭინთ შეპყრობილმა ადამიანებმა, რომელნიც სხვა რესპუბლიკების ბაზრებზე მეციტრუსეებად ასაღებენ თავს, კარგა ხანია დაიწყეს „მწვანე რთველი“ და მკვახე მანდარინით დატვირთულ საკუთარ თუ სახელმწიფო ავტომანქანებს საქართველოს ფარგლებს გარეთ გასასვლელად უბრუნეს პირი.

გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდის მცხოვრებმა პეტროს მაჩკალიანმა თავისი მეუღლის აირუმ მაჩკალიანის „ვოლგა“ 470 კილოგრამამ მანდარინით დატვირთა და თავი უკვე სამშვიდობოს გასული ეგონა, რომ გაგრის საგუშაგოზე დააკავეს, მანდარინი ჩამოართვეს და დამზადებას ჩაბარეს. პ. მაჩკალიანის საქმეს სახალხო სასამართლო განიხილავს.

გულრიფშის რაიონის სოფელ ვარჩის მკვიდრი, ბაბუშერის ეთერზეთოვანთა საბჭოთა მეურნეობის მუშა ომარ ხვიჩია განზრახული ჰქონდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სასპეკულაციოდ გაეპარებინა 600 კილოგრამამ მანდარინი საკუთარი „ჟიგულით“, რომლის სახელმწიფო ნომერია 08-53 გარ. მაგრამ შუაგზაზე ჩაუვარდა კოვზი ნაცარში. იგი სახელმწიფო ავტოინსპექციის ხეთის საგუშაგოზე დააკავეს,

იმ სოფლის თავკაცებს, სადაც პეტროს მაჩკალიანი და ომარ ხვიჩია ცხოვრობენ, ასე თუ ისე იქნებ იმართლონ თავი, ვერ შევამჩნიეთ, როდის გააპარესო ნახევარ ტონამდე მანდარინი, მაგრამ რა უნდა თქვან იმათ, ვის თვალწინაც ტონობით მანდარინი ჩატვირთეს ავტომობილებში და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მიმავალ გზას გაუდგნენ?

11 ოქტომბრის დილით, გაგრის საკონტროლო პუნქტში დააკავეს მოლდავეთის რესპუბლიკის კუთვნილი ზვიდტონიანი სატვირთო ავტომობილი, რომელიც 4 ტონაზე მეტი მანდარინით იყო დატვირთული.

ამავე დღესვე დაკავებული იყო უკრაინის რესპუბლიკის კუთვნილი სატვირთო ავტომობილი, რომლის მძღოლიც 910 კილოგრამი მანდარინის გაპარებას აპირებდა.

მძღოლებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვეიტეს, მანდარინი ვისია — ეკითხეთო, რადგან მანდარინის მფლობელები არსად ჩანდნენ.

თითქოსდა საიმედო ხრიკია, მაგრამ საგამძიებო ორგანოებმა მიაგნეს მანდარინის მფლობელებს და სოფლის თავკაცები სათანადო გადაწყვეტილებასაც მიიღებენ.

საავტომობილო გზა ჩაკეტილი რომ აღმოჩნდა ქორვაჭრებისა და მოხალტურე მძღოლებისათვის, ფულის ილოდ შოვნას მოწყურებულმა კაცუნებმა რკინიგზას მიაშურეს და ზოგიერთი უკეთესი რკინიგზელის დახმარებით სცადეს თავიანთი მიზნებისათვის გამოეყენებინათ იგი... მაგრამ არც რკინიგზის მილიციის მუშაკებმა დაინდეს სპეკულანტები. მათმა რეიდებმა მადა წუხდინეს მანდარინის ქორვაჭრებს და მათ ხელშემწყობთ.

360 კილოგრამი მანდარინის გაპარებას აპირებდა სოხუმ-მოსკოვის № 386 მატარებლის № 1 ვაგონის გამცილებელი ვლადიმერ გლებოვი.

უფრო დიდი მადა აღმოჩნდა ამავე მატარებლის № 2 ვაგონის გამცილებელს ვალერიან კირილინს, რომელმაც 897 კილოგრამი მანდარინი რუსეთის ფარგლებს გარეთ გასაპარებლად თავის სამეურვეო ვაგონში დამალა.

ომარ კუპრავამ, რომელიც ამავე მატარებლის № 3 ვაგონის გამცილებელია, 630 კილოგრამზე მეტი მანდარინის გაპარება ვერ გაბედა.

მანდარინი აკრძალული ხილია, იფიქრა ამავე მატარებლის ვაგონ-რესტორნის დირექტორმა ვალერი არშბამ, და მხოლოდ 710 კილოგრამი მსხლის გაპარება სცადა.

აქ ჩამოთვლილი ყველა ფაქტის გამო გამოძიებას სოხუმის სახაზო მილიციის განყოფილება აწარმოებს.

სამწუხაროა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში კიდევ არიან მოჭალაქენი, რომლებსაც მომხვეჭელობა ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი და იოლი გამდიდრების მანნით არიან შეპყრობილი, ძველი, მოლიპული გზით სიარულს არჩევენ.

ჩვენი რესპუბლიკის შემარცხვენელთა ფეხქვეშ მიწა უნდა იწოდეს, ამ სოფლების თავკაცებმა, საზოგადოებრივმა აქტივმა დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ მათ. სოფლებში ადგილზევე უნდა აღკვეთონ სპეკულანტების მოქმედება, არ დაუშვან, რომ მათ საავტომობილო ინსპექციის საგუშაგოებამდე, რკინიგზის სადგურებამდე, აეროდრომებამდე მიიტანონ სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

სარეიდო ბრიგადა.


**ტელევიზია**

### 18 ოქტომბერი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“—საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40—დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „ოველისძეული გრაქტორი“ (ფ.) 10.35 —მეცხრე კლასის მოსწავლეთათვის— ფიზიკა (ფ.), 16.30 — ბიბიურიეტგთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.20 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 17.50 — „ჯადოსნური სადებავი“ (ფ.), 18.30 — „საერთაშორისო დღიური“ (ფ.), 19.00 — „მილიონთა 